1962

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 19 (179) 10 ივლისი 1962 წელი

შინაარსი

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

308. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ა. მ. პუზანოვის გათავისუფლების შესახებ.

309. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ვ. პ. მოსკოვსკის დანიშვნის შესახებ.

310. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ა. მ. პუზანოვის დანიშვნის შესახებ.

311. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში და უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებთან გათანაბრებულ ადგილებში მომუშავე პირთათვის შეღავათების მოწესრიგების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 10 თებერვლის ბრძანებულების 1 მუხლის დამატების შესახებ.

312. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კულტურული თანამშრომლობის თაობაზე საბჭოთა კავშირ-სომალის შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ.

313. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა განათლების დარგში დისკრიმინაციასთან ბრძოლის თაობაზე კონვენციის რატიფიკაციის შესახებ.

განყოფილება მეორე

314. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მხატვარ ა. ა. პლასტოვისათვის სსრ კავშირის სახალხო მხატვრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

315. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ა. გ. ლებედენკოს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

316. გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა უფროსი ლეიტენანტის ი. ე. დუბროვინის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნების სიგელები გადასცა კუბის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა კ. ოლივარეს სანჩესმა.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

317. გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელის, საყოველთაო-სახალხო პატივისცემის რესპუბლიკური წიგნისა და საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა დებულებების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ.

318. გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

319. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიების თავმჯდომარეების დამტკიცების შესახებ.

განყოფილება მეორე

320. გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მოსკოვის თეატრ „სოვრემენნიკის“ კოლექტივის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

308 **კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ა. მ. პუზანოვის გათავისუფლების შესახებ**

გათავისუფლდეს ალექსანდრე მიხეილის ძე **პუზანოვი** სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 23 ივნისი.

№ 239-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

309 **კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ვ. პ. მოსკოვსკის დანიშვნის შესახებ**

დაინიშნოს ვასილ პეტრეს ძე **მოსკოვსკი** სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 23 ივნისი.

№ 240-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

310 **იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ა. მ. პუზანოვის დანიშვნის შესახებ**

დაინიშნოს ალექსანდრე მიხეილის ძე **პუზანოვი** სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 28 ივნისი.

№ 250-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

311 „უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში და უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებთან გათანაბრებულ ადგილებში მომუშავე პირთათვის შეღავათების მოწესრიგების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 10 თებერვლის ბრძანებულების 1 მუხლის დამატების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. „უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში და უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებთან გათანაბრებულ ადგილებში მომუშავე პირთათვის შეღავათების მოწესრიგების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 10 თებერვლის ბრძანებულების 1 მუხლში შეტანილ იქნას შემდეგი დამატება:

„1960 წლის 1 მარტის შემდეგ სხვა სამუშაოზე (თანამდებობაზე) გადაყვანის ან გადასვლის დროს, გარდა საწარმოთა და დაწესებულებათა კვალიფიციური კადრებით განმტკიცებისათვის მუშაკთა გადაყვანისა, აგრეთვე არჩევით თანამდებობაზე გადასვლისა, ხელფასის დანამატი, რომელიც დაიმსახურეს 1960 წლის 1 მარტისათვის და აღნიშნული ოდენობით ეძლევათ, არ უნდა აღემატებოდეს:

მუშების და მოსამსახურეებისათვის, რომლებიც ხელფასის მოწესრიგებასთან დაკავშირებით გადაყვანილი არიან შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე, შესასრულებელი სამუშაოს სატარიფო განაკვეთს (ხელფასს) ამ განაკვეთზე (ხელფასზე) დარიცხული რაიონული კოეფიციენტით;

მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომლებიც არ არიან გადაყვანილი შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე, — შესასრულებელი სამუშაოს მოქმედ სატარიფო განაკვეთს (ხელფასს)“.

2. ამ ბრძანებულების 1 მუხლით გათვალისწინებული დანამატების ანაზღაურების წესი სამოქმედოდ შემოიღება 1962 წლის 1 ოქტომბრიდან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 30 ივნისი.

№ 252-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

312 კულტურული თანამშრომლობის თაობაზე საბჭოთა კავშირსომალის შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი შეთანხმება კულტურული თანამშრომლობის შესახებ საბ-

ჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და სომალის რესპუბლიკის შორის, ხელმოწერილი მოსკოვში 1961 წლის 2 ივნისს, **რატიფიცირებულ იქნას.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 2 ივლისი.
№ 253-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

313 განათლების დარგში დისკრიმინაციასთან ბრძოლის თაობაზე კონვენციის რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი კონვენცია განათლების დარგში დისკრიმინაციასთან ბრძოლის შესახებ, რომელიც მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხებზე 1960 წლის 14 დეკემბერს პარიზში, **რატიფიცირებულ იქნას.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 2 ივლისი.
№ 254-VI.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

314 მხატვარ ა. ა. პლასტოვისათვის სსრ კავშირის სახალხო მხატვრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სახვითი ხელოვნების დარგში დიდი დამსახურებისათვის მხატვარ არკადი არკადის ძე პლასტოვს მიენიჭოს **სსრ კავშირის სახალხო მხატვრის** საპატიო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 4 ივლისი.
№ 273-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

315 მწერალ ა. ბ. ლებედენკოს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცდაათი წლისთავის გამო და საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურების აღსანიშნავად მწერალი ალექსანდრე გერასიმის ძე ლებედენკო დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 4 ივლისი.

№ 274-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

316 უფროსი ლეიტენანტის ი. ე. დუბროვინის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებული ბავშვის გადარჩენის დროს გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის უფროსი ლეიტენანტი იური ევგენის ძე **დუბროვინი** დაჯილდოვდეს **წითელი ვარსკვლავის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 4 ივლისი.

№ 275-VI.

განკოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნების სიგელები გადასცა კუბის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა კ. ოლივარეს სანჩესმა

ა/წ 2 ივლისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა კრემლში მიიღო კუბის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კ. ოლივარეს სანჩესი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს ახლდნენ მრჩეველი-დესპანი ბ. ბესადა რამოსი, სავაჭრო მრჩეველი ა. პერეს პინტო, პირველი მდივანი გ. დეპრეს სოლე, მესამე მდივანი მ. გარსია ფუენტესი, ატაშე ა. რეიგოსა დე ლა კრუსი.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ა. სობოლევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრე-

ზიდიუმის საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების გამგე ვ. გ. ვისარტინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებების გამგეები ვ. ი. ბაზიკინი და თ. თ. მოლოჩკოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რწმუნების სიგელების გადაცემისა და ურთიერთ სიტყვებით მიმართვის შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა კ. ოლივარეს სანჩესს. საუბარს დაესწრნენ მ. პ. გიორგაძე და ა. ა. სობოლევი.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

317 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელის, საყოველთაო-სახალხო პატივისცემის რესპუბლიკური წიგნისა და საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა დებულებების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელის, საყოველთაო-სახალხო პატივისცემის რესპუბლიკური წიგნისა და საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა დებულებები ახალი რედაქციით (თან ერთვის).

2. დამტკიცდეს დაჯილდოების ფურცლის ნიმუში (თან ერთვის).

3. აღნიშნული ბრძანებულების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელის დებულება, დამტკიცებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულებით;

ბ) საყოველთაო-სახალხო პატივისცემის რესპუბლიკური წიგნის დებულება, დამტკიცებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 6 მაისის ბრძანებულებით;

გ) საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა დებულება, დამტკიცებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 23 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე გ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელის შესახებ

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდებიან მუშები, კოლმეურნეები, მოსამსახურეები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, აგრეთვე სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებები, საწარმოები და ორგანიზაციები მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის, უხვი მოსავლის მიღებისათვის, ძეცხოველეობის განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის ზრდისათვის, საყოფიერი საწარმოო, სამეცნიერო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობისათვის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ლიტერატურის, ხელოვნების, ფიზიკური კულტურისა და სპორტის და რესპუბლიკის პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვა დარგებში დამსახურებისათვის.

2. საპატიო სიგელით დაჯილდოება ხდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროების, უწყებების, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წარდგენით.

3. ცალკეულ პირთა საპატიო სიგელით დასაჯილდოებლად შუამდგომლობის აღძვრისას წარდგენილ უნდა იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული ნიმუშის დაჯილდოების ფურცელი.

4. დაჯილდოებულებს გადაეცემათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისა და მდივნის მიერ ხელმოწერილი დაწესებული ნიმუშის საპატიო სიგელი.

5. საპატიო სიგელის ჩამორთმევა შეიძლება მოხდეს მხოლოდ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

დ ე გ უ ლ ე ბ ა

საყოველთაო-სახალხო პატივისცემის რესპუბლიკური წიგნის შესახებ

1. საყოველთაო-სახალხო პატივისცემის რესპუბლიკურ წიგნში შეიტანებიან ხალხის ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენლები მუშათა, კოლმეურნეთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, მეცნიერთა, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკთა რიცხვიდან, რომლებმაც მოიპოვეს განსაკუთრებით თვალსაჩინო წარმატებანი რესპუბლიკის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების განვითარებაში და პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვა დარგებში.

2. საყოველთაო-სახალხო პატივისცემის რესპუბლიკურ წიგნში შეტანა ხდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მშრო-

მელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროების, უწყებების, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წარდგენით.

3. საყოველთაო-სახალხო პატივისცემის რესპუბლიკურ წიგნში შეტანის შესახებ შუამდგომლობის აღძვრისას წარდგენილ უნდა იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული ნიმუშის დაჯილდოების ფურცელი.

4. საყოველთაო-სახალხო პატივისცემის რესპუბლიკურ წიგნში შეტანილ პირებს გადაეცემათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისა და მდივნის მიერ ხელმოწერილი დაწესებული ნიმუშის სიგელი.

5. საყოველთაო-სახალხო პატივისცემის რესპუბლიკური წიგნიდან ამოღება და სიგელის ჩამორთმევა შეიძლება მოხდეს მხოლოდ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

დ ე გ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა შესახებ

განყოფილება I

დაწესდეს, რომ ცალკეულ პირებს სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგებში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, სპეციალობის მიხედვით შეიძლება მიენიჭოთ საქართველოს სსრ შემდეგი საპატიო წოდებები:

1. საქართველოს სსრ სახალხო პოეტის;
2. საქართველოს სსრ სახალხო არტისტის;
3. საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის;
4. საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის;
5. საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის;
6. საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის;
7. საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის;
8. საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის;
9. საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის;
10. საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის;
11. საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის;
12. საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომის;
13. საქართველოს სსრ დამსახურებული ვეტერინარი ექიმის;
14. საქართველოს სსრ დამსახურებული ზოოტექნიკოსის;

15. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორის;
16. საქართველოს სსრ დამსახურებული მეღვინის;
17. საქართველოს სსრ დამსახურებული მელიორატორის;
18. საქართველოს სსრ დამსახურებული მეტყევის;
19. საქართველოს სსრ დამსახურებული პროვიზორის;
20. საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის;
21. საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მასწავლებლის;
22. საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული ოსტატის;
23. საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარის;
24. საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის;
25. საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლის;
26. საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის.

ცალკეულ მუსიკალურ, გუნდურ, ცეკვისა და სხვა საშემსრულებლო კოლექტივებს შეიძლება მიენიჭოთ საქართველოს სსრ დამსახურებული ანსამბლის საპატიო წოდება.

განყოფილება II

1. საქართველოს სსრ სახალხო პოეტის საპატიო წოდება მიენიჭებათ ქართული საბჭოთა პოეზიის ყველაზე თვალსაჩინო მოღვაწეებს, რომლებმაც შექმნეს მაღალმხატვრული ნაწარმოებები და თავიანთი მოღვაწეობით ქართული ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში მოიპოვეს საყოველთაო სახალხო აღიარება.

2. საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიენიჭებათ თეატრის, კინოს, ფილარმონიის, ესტრადის, ცირკის განსაკუთრებული ოსტატობის მქონე მსახიობებსა და რეჟისორებს, მუსიკალურ შემსრულებლებს, აგრეთვე დრამატურგებს, დირიჟორებს და კომპოზიტორებს თვალსაჩინო მხატვრული სახეების, სპექტაკლების, კინო-ფილმებისა და მუსიკალური ნაწარმოებების შექმნისათვის და რომლებსაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარების საქმეში.

3. საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის საპატიო წოდება მიენიჭებათ ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების ყველაზე თვალსაჩინო მოღვაწეებს მაღალმხატვრული ნაწარმოებების შექმნისათვის და განსაკუთრებული დამსახურებისათვის ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკის, დეკორაციული და გამოყენებითი ხელოვნების განვითარების საქმეში.

4-5. საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის ან საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭებათ მეცნიერ მუშაკებს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაშრო-

მებისათვის მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, თვალსაჩინო აღმოჩენებისა და გამოგონებისათვის, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ეროვნული ეკონომიკური მშენებლობისათვის ან თვალსაჩინო სამეცნიერო-პედაგოგიურ და სამეცნიერო-პოპულარიზატორულ მოღვაწეობისათვის.

6. საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭებათ რეჟისორებს, მხატვრებს, მოქანდაკეებს, არქიტექტორებს, დრამატურგებს, კომპოზიტორებსა და ხელოვნების სხვა მოღვაწეებს, რომლებმაც შექმნეს ხელოვნების თვალსაჩინო ნაწარმოებები ან დიდი დამსახურება მოიპოვეს კადრების აღზრდისა და მომზადების საქმეში, აგრეთვე ხელოვნების დარგში მეცნიერული შრომების შექმნაში.

7. საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიენიჭებათ თეატრის, კინოს, ფილარმონიის, ესტრადის, ცირკის მაღალი ოსტატობის მქონე არტისტებს და რეჟისორებს, მუსიკალურ შემსრულებლებს, რომლებმაც შექმნეს მაღალმხატვრული სახეები, სპექტაკლები, კინო-ფილმები, მუსიკალური ნაწარმოებები და თავიანთი მოღვაწეობით ხელს უწყობენ ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებას.

8. საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის საპატიო წოდება მიენიჭებათ ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეებს მაღალმხატვრული ნაწარმოებების შექმნისათვის და დიდი დამსახურებისათვის ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკის, თეატრალურ-დეკორაციული და დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნების განვითარების საქმეში.

9. საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება მიენიჭებათ საბავშვო ბაღებისა და საბავშვო სახლების აღმზრდელებსა და გამგეებს, დაწყებითი სკოლების მასწავლებლებსა და გამგეებს, შვიდწლიანი, საშუალო და სპეციალური სკოლების, პედაგოგიური სასწავლებლების, ტექნიკუმების, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებლებსა და დირექტორებს, სახალხო განათლების რაიონული, საქალაქო და საოლქო განყოფილებების ინსპექტორებსა და გამგეებს, პედაგოგიური და მეთოდური კაბინეტების გამგეებსა და მეთოდისტებს, საქართველოს სსრ, ათხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროების ინსპექტორებს, რომლებმაც იმუშავეს სპეციალობის მიხედვით არანაკლებ 20 წლისა, განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი აღმზრდელობითი პედაგოგიური მოღვაწეობით და თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს ბავშვთა კომუნისტური აღზრდის საქმეში, აგრეთვე აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

10. საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება მიენიჭებათ საექიმო უბნების, ამბულატორიების, სამშობიარო სახლების, საავადმყოფოების, პოსპიტლების, პოლიკლინიკების, სანატორიუმებისა და სხვა სამკურნალო-პროფილაქტიკური და სანიტარულ დაწესებულებათა ექიმებს, რომლებმაც იმუშავეს სპეციალობის მიხედვით არანაკლებ 20 წლისა და განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში პრაქტიკული მოღვაწეობით.

11. საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება მიენიჭებათ სამრეწველო საწარმოების, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმუ-

ლობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების, სამეცნიერო-საკვლევი, ტ. საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებებისა და აგრეთვე სახალხოსამეურ-ნეობის მმართველობის ორგანოების ინჟინრებს, რომლებმაც სპეციალობის მიხედვით იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა და განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საინჟინრო მოღვაწეობით საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარებაში.

12. საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომის საპატიო წოდება მიენიჭებათ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სოფლის მეურნეობის ორგანოებისა და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების მაღალკვალიფიციურ აგრონომებს, რომლებმაც იმუშავეს სპეციალობის მიხედვით არანაკლებ 15 წლისა და თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვით სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში.

13. საქართველოს სსრ დამსახურებული ვეტერინარი ექიმის საპატიო წოდება მიენიჭებათ მაღალკვალიფიციურ ვეტერინარ ექიმებს, რომლებმაც იმუშავეს სპეციალობის მიხედვით არანაკლებ 15 წელი და თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში.

14. საქართველოს სსრ დამსახურებული ზოოტექნიკოსის საპატიო წოდება მიენიჭებათ მაღალკვალიფიციურ ზოოტექნიკოსებს, რომლებმაც იმუშავეს სპეციალობის მიხედვით არანაკლებ 15 წელი და თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მეცხოველეობის განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლებულ საქმეში.

15. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორის საპატიო წოდება მიენიჭებათ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მეცხოველეობის სამანქანო და მანქანათმელიორაციულ სადგურების, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" რაიონულ და სარაიონთაშორისო განყოფილებების ტრაქტორისტებს, კომბაინერებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, სასწავლებლებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაკებს, რომელთაც აქვთ სპეციალობის მიხედვით მუშაობის არანაკლებ 15 წლის სტაჟი და თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვით სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში მოწინავე ტექნიკის ათვისებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მისი დანერგვის საქმეში.

16. საქართველოს სსრ დამსახურებული მეღვინის საპატიო წოდება მიენიჭებათ მაღალკვალიფიციურ მეღვინეებს, რომლებმაც სპეციალობის მიხედვით იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა და განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მეღვინეობის განვითარების საქმეში, გააუმჯობესეს ღვინის ხარისხი, შექმნეს ახალი სამარკო ღვინოები, ღვინის წარმოებაში დანერგეს მოწინავე ტექნოლოგია, აქვთ დიდი დამსახურება მეღვინეთა კადრების აღზრდის საქმეში და აგრეთვე შექმნეს მნიშვნელოვანი მეცნიერული ნაშრომები მეღვინეობის დარგში.

17. საქართველოს სსრ დამსახურებული მელიორატორის საპატიო წოდება მიენიჭებათ რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის ექსპლოატაციის, მშენებლობის, სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო დაწესებულებების, კოლმეურნეო-

ბების, საბჭოთა მეურნეობებისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების, წყალთა მეურნეობის მაღალკვალიფიციურ ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, რომლებმაც სპეციალობის მიხედვით იმუშავეს არანაკლებ 15 წლისა და თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვით წყალთა მეურნეობის განვითარების საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. საქართველოს სსრ დამსახურებული მეტყევის საპატიო წოდება მიენიჭებათ სატყეო მეურნეობების, სანერგეების, ქარსაცავების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო დაწესებულებების, ტყის მოწყობისა და სხვა სატყეო-სამეურნეო ორგანიზაციების მაღალკვალიფიციურ მეტყევე სპეციალისტებს, რომლებმაც სპეციალობის მიხედვით იმუშავეს არანაკლებ 15 წლისა და თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვით რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის განვითარების საქმეში.

19. საქართველოს სსრ დამსახურებული პროვიზორის საპატიო წოდება მიენიჭებათ მაღალკვალიფიციურ პროვიზორებს, რომლებმაც სპეციალობის მიხედვით იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა და განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში პრაქტიკული მოღვაწეობით.

20. საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის საპატიო წოდება მიენიჭებათ უმაღლესი ეკონომიური განათლების მქონე ყველა დარგის ეკონომისტებს, რომლებმაც სპეციალობის მიხედვით იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა და მიუძღვით თვალსაჩინო დამსახურება.

21. საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება მიენიჭებათ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მასწავლებლებს, აღმზრდელებს, დირექტორებს, სასწავლო-მეთოდური კაბინეტის გამგეებსა და მეთოდისტებს, პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოს ინსპექტორებს, რომლებსაც აქვთ უმაღლესი განათლება, პროფესიულ-ტექნიკური განათლების დარგში მუშაობის არანაკლებ 15 წლის სტაჟი, განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი აღმზრდელობით-პედაგოგიური მოღვაწეობითა და თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში, აგრეთვე აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

22. საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების დამსახურებული ოსტატის საპატიო წოდება მიენიჭებათ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების საწარმოო სწავლების ოსტატებსა და პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარი სამმართველოს ინსპექტორებს, რომლებსაც აქვთ საშუალო სპეციალური ან უმაღლესი განათლება, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლო დაწესებულებებში მუშაობის არანაკლებ 15 წლის სტაჟი, განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი აღმზრდელობით-პედაგოგიურ მოღვაწეობითა და თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში, აგრეთვე აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

23. საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარის საპატიო წოდება მიენიჭებათ ბიბლიოთეკარებს, ბიბლიოგრაფებს, დირექტორებსა და გამგეებს, აგრეთვე ბიბლიოთეკების მეთოდისტებს და ინსპექტორებს, რომლებმაც სპე-

ციალობის მიხედვით იმუშავეს არანაკლებ 15 წლისა და განსაკუთრებით გამო-ჩინეს თავი პრაქტიკული საქმიანობით.

24. საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭებათ იმ პირებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვით რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში, ორგანიზაციულ, სამეცნიერო-საკვლევ, მეთოდურ, პედაგოგიურ მუშაობასა და სამკურნალო ფიზკულტურაში და რომლებმაც იმუშავეს ამ დარგში არანაკლებ 20 წლისა.

25. საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლის საპატიო წოდება მიენიჭებათ ცალკეულ პირებს, რომელთაც აქვთ რამდენიმე ან განსაკუთრებით თვალსაჩინო გამოგონება, რომლის დანერგვამ სახალხო მეურნეობაში მოგვცა მნიშვნელოვანი ეკონომიური ეფექტი.

26. საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის საპატიო წოდება მიენიჭებათ ცალკეულ პირებს, რომელთაც აქვთ რამდენიმე ან განსაკუთრებით თვალსაჩინო რაციონალიზატორული წინადადება, რომლის დანერგვამ სახალხო მეურნეობაში მოგვცა მნიშვნელოვანი ეკონომიური ეფექტი.

საქართველოს სსრ დამსახურებული ანსამბლის საპატიო წოდება მიენიჭებათ მუსიკალურ, გუნდურ, ცეკვისა და სხვა კოლექტივებს მაღალმხატვრული სამემსრულებლო ოსტატობისა და წარმატებითი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის, რაც ხელს უწყობს ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებას.

განყოფილება III

საქართველოს სსრ საპატიო წოდებები მიენიჭებათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროების, უწყებებისა და ნებაყოფლობითი საზოგადოებების რესპუბლიკური ორგანოების წარდგენით.

საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების წინაშე შუამდგომლობის აღძვრა შეუძლიათ მშრომელთა დეპუტატების რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, პარტიულ, პროფკავშირულ და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები და ორგანიზაციები შუამდგომლობას აღძრავენ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების ან ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის წინაშე, რომლებსაც თავიანთი წინადადებანი შეაქვთ სათანადო სამინისტროებსა და უწყებებში.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ცალკეულ პირთათვის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ შუამდგომლობის აღძვრისას სახალხო მეურნეობის საბჭოს, შესაბამის სამინისტროსა და

უწყებას, ხოლო უკანასკნელი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს წარუდგენენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული ნიმუშის დაჯილდოების ფურცელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლისა და საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ კი შუამდგომლობას სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტროები, უწყებები და მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები წარადგენენ საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად, ამასთან დაჯილდოების ფურცელს უნდა ღაერთოს გამოგონებაზე და რაციონალიზატორულ წინადადებაზე სათანადო მოწმობათა ასლები, აგრეთვე ცნობები ამ წინადადებათა დანერგვისა და ეკონომიური ეფექტურობის შესახებ.

განყოფილება IV

იმ პირებს, რომლებსაც მიენიჭებათ საქართველოს სსრ საპატიო წოდება, გადაეცემათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის და მდივნის მიერ ხელმოწერილი დაწესებული ნიმუშის სიგელი.

იმ პირებს კი, რომლებსაც მიენიჭებათ საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლის ან საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის საპატიო წოდება, სიგელთან ერთად გადაეცემათ დაწესებული ნიმუშის სამკერდე ნიშანი.

საქართველოს სსრ საპატიო წოდების ჩამორთმევა შეიძლება მოხდეს მხოლოდ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ უმაღლესი
საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის
23 ივნისის ბრძანებულებით

УТВЕРЖДЕН
Указом Президиума Верховного
Совета Грузинской ССР
от 23 июня 1962 года

საქართველოს სსრ _____
(ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქის, რაიონის და ქალაქის დასახელება)
(наименование автономной республики, области, района, города Грузинской ССР)

დაჯილდოების ფურცელი

НАГРАДНОЙ ЛИСТ

1. გვარი, _____
Фамилия,

სახელი, მამის სახელი _____
Имя, отчество

2. დაბადების წელი და ადგილი _____
Год и место рождения

3. ეროვნება _____ 4. სქესი _____ 5. პარტიულობა _____
Национальность Пол Партийность

6. განათლება _____ ა) რა სასწავლებელი დაამთავრა და როდის _____
Образование а) Какое учебное заведение окончил и когда

_____

ბ) რა სპეციალობა მიიღო _____
б) Какую специальность получил

7. სახელმწიფო ხარისხი, წოდება და როდის მიენიჭა _____
Ученая степень, звание и когда присвоена

_____

8. რა მეცნიერული შრომები და გამოგონებები აქვს _____
Какие научные труды и изобретения имеет

_____

_____

9. სამუშაოს სტაჟი სპეციალობის მიხედვით _____
Стаж работы по специальности

10. მთავრობის რა ჯილდოები აქვს მიღებული და როდის _____
Какие правительственные награды получил и когда

_____
(ორდენები, მედლები, საპატიო სიგელი და სხვა)
(ордена, медали, Почетная грамота и др.)

_____

11. რა საპატიო წოდება აქვს მინიჭებული და როდის _____
Какое почетное звание присвоено и когда

_____

_____

12. მინის მისამართი, ტელეფონის № _____
Домашний адрес, телефон

13. წარდგენილია _____
Представляется к (რა საპატიო წოდების მისანიჭებლად, საპატიო სიგელით დასაჯილდოებლად)
(присвоению какого почетного звания, награждению Почетной грамотой)

4. სამუშაო, რომელსაც ასრულებს შრომითი საქმიანობის დაწყების შემდეგ
Выполняемая работа с начала трудовой деятельности

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვე და წელი Месяц и год		თანამდებობა და სამუშაო ადგილის სრული დასახელება Должность и полное наименование места работы	სამუშაოდან წასვლის მიზეზი Причина ухода с работы
მოსვლის вступления	წასვლის ухода		

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვე და წელი Месяц и год		თანამდებობა და სამუშაო ადგილის სრული დასახელება Должность и полное наименование места работы	სამუშაოდან წასვლის მიზეზი Причина ухода с работы
მოსვლის вступления	წასვლის ухода		

ბეჭდის ადგილი
Место печати

პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა:
Подпись ответственного лица

"_____" _____ 196 წ.

15. დახასიათება
ХАРАКТЕРИСТИКА

(დასაჯილდოებელი პირის საწარმოო, სამეცნიერო, შემოქმედებითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობისა)
(производственной, научной, творческой, общественно-политической деятельности награждаемого)

ბეჭდის ადგილი
Место печати

საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელი _____
Руководитель предприятия или учреждения

პარტორგანიზაციის მდივანი _____
Секретарь парторганизации

პროფორგანიზაციის კომიტეტის თავჯდომარე _____
Председатель комитета профорганизации

"_____" _____ 196 წ. г.

16 ამოწერა
ВЫПИСКА

შუამდგომლობის აღძვრის შესახებ რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებიდან
из решения исполкома районного, городского Совета депутатов трудящихся о возбуждении ходатайства

ბეჭდის ადგილი
Место печати

შრომელთა დეპუტატების _____ რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის
Председатель исполкома районного, городского Совета депутатов

თავმჯდომარე _____
трудящихся

აღმასკომის მდივანი _____
Секретарь исполкома

„ ____ " _____ 196 წ. г.

17 დასკვნა
ЗАКЛЮЧЕНИЕ

პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისა
Республиканского комитета профсоюза

ბეჭდის ადგილი
Место печати

_____ პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე
Председатель Республиканского комитета профсоюза

„ ____ " _____ 196 წ. г.

18. წარდგინება
ПРЕДСТАВЛЕНИЕ

სახალხო მეურნეობის საბჭოსი, სამინისტროსი, უწყებისა
Совета народного хозяйства, министерства, ведомства

ბეჭდის ადგილი
Место печати

სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროს, უწყების ხელმძღვანელი _____
Руководитель Совета народного хозяйства, министерства, ведомства

„ ____ " _____ 196 წ. г.

к. 407 тираж 2000

ეროვნული ბიბლიოთეკა

318 საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონის 55 მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი 9 კაცის რაოდენობით შემდეგი შემადგენლობით:

პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ვლადიმერ ივანეს ძე **მაისურაძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე

პრეზიდიუმის წევრები:

სერგი იასონის ძე **ქაჯაია** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე

გიორგი ყირიმის ძე **იოსავა** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე

გიორგი კონსტანტინეს ძე **ცქიტიშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე

დავით ისიდორეს ძე **ბალათურია** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

ალექსანდრე არსენის ძე **ღუღუნიშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

ადელინა ივანეს ასული **ხონიაკინა** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

ნასიბ ყურბანის ძე **გაჯიევი** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

ოთარ ალექსანდრეს ძე **გველესიანი** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 28 ივნისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

319 საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიების თავმჯდომარეების დამტკიცების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარედ

სერგი იასონის ძე **ქაჯაია** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს **სამოქალაქო** საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარედ

გიორგი ყირიმის ძე **იოსავა** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 28 ივნისი.

განკოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

320 მოსკოვის თეატრ „სოვრემენნიკის“ კოლექტივის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქალაქ თბილისში 1962 წელს გასტროლების წარმატებით ჩატარებისათვის მოსკოვის თეატრ „სოვრემენნიკის“ კოლექტივი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1962 წლის 30 ივნისი.